



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანება

N 535/02-06
17/05/2019

535-02-06-4-201905170944



სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ალექსანდრე ელაშვილის საფრანგეთის და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკებში მივლინებისა და შრომითი ხელშეკრულების პირობების შეცვლის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-12 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 ნაწილების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის №220 ბრძანების მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ და „კ“ ქვეპუნქტების, „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ თანამშრომელთა საზღვარგარეთ მივლინების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ თსუ რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2015 წლის 19 მარტის 12/04 ერთობლივი ბრძანების მე-13 და მე-14 პუნქტების, თსუ ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ალექსანდრე ელაშვილის 2019 წლის 13 მაისის N10277/10-02 განცხადების (ინსტიტუტის დირექტორის, მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ნინო ფარცვანიას თანხმობით) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მივლინებულ იქნეს, 2019 წლის 20 მაისიდან 16 აგვისტოს ჩათვლით საფრანგეთის რესპუბლიკაში უმაღლესი სამეცნიერო კვლევების IHES (Bures-sur-Yvette) ინსტიტუტში მოხსენების „ნახევრადმარტივი ლის ალგებრების ციკლური ელემენტები“-წასაკითხად, ხოლო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ კიოლნის და ბილფელდის უნივერსიტეტებში ერთობლივი სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლად და მოხსენებების (კიოლნის უნივერსიტეტში - „ლის ალგებრების ინდექსის შესახებ“, ბილფელდის უნივერსიტეტში - „ლის ალგებრების დინამიკის გრადუირებები“) წასაკითხად, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი ალექსანდრე ელაშვილი;

2. დაევალოს საფინანსო დეპარტამენტს, გასცეს სამივლინებო 1033.45 ლარი უნივერსიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სახელმწიფო ბიუჯეტით მივლინებისათვის განსაზღვრული სახაზინო თანხებიდან (დანართი N1);
3. შეუჩერდეს შრომის ანაზღაურება 2019 წლის 4 ივლისიდან 16 აგვისტოს ჩათვლით, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ თანამშრომელს ალექსანდრე ელაშვილს;
4. დაევალოს ალექსანდრე ელაშვილს წარუდგინოს მოხსენებითი ბარათი და მივლინების ანგარიში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ინსტიტუტს და საფინანსო დეპარტამენტს მივლინებიდან დაბრუნებისთანავე;
5. წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს დაინტერესებულ პირს და შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (საფინანსო დეპარტამენტი, პერსონალის მართვის დეპარტამენტი, შიდა აუდიტის სამსახური, ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი).
6. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

ნუნუ ოვსიანიკოვა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

დანართი N1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ანდრია რაჭმამის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის
მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ალექსანდრე ელაშვილის საფრანგეთის და
გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკებში მივლინების
ხარჯთაღრიცხვა:

1. მგზავრობის ხარჯი: (ელექტრონული ბილეთი) - 942.45 ლარი;
2. სამოგზაურო დაზღვევის ხარჯი: (გადახდის საბუთი) - 91 ლარი;

სულ: 1033.45 ლარი.

საფინანსო დეპარტამენტის უფროსი:


ი. სადარეიშვილი